



ძვირფასო DWV-ს წევრებო და მეგობრებო,

ჩვენს ქართულენოვან ბიზნეს-ბიულეტენში ჩვენ თქვენთვის კვლავ შევაჯამეთ სიახლეები DWV-სა და მისი წევრი კომპანიების/პარტნიორების, ჩატარებული და დაგეგმილი ღონისძიებების, წევრების ექსკლუზიური შეთავაზებებისა და მნიშვნელოვანი ბიზნეს სიახლეების შესახებ. ბიულეტენის ბოლოს იხილავთ სპეციალურ შეთავაზებებს ჩვენი მკითხველებისთვის.

იცოდით, რომ

DWV გაგიწევთ სხვადასხვა სახის მთარგმნელობით მომსახურებას? ჩვენი გუნდი თავისი მაღალი კომპეტენციითა და მრავალწლიანი გამოცდილებით დაგეხმარებათ, მიიღოთ სრულყოფილი და მაღალი ხარისხის წერილობითი და ზეპირი თარგმანის სერვისი.

საჭიროების შემთხვევაში ჩვენ ასევე დაგაკავშირებთ ჩვენს პარტნიორ დამოუკიდებელ მთარგმნელებს, რომელთა კომპეტენცია დროში არის გამოცდილი.

დამატებითი ინფორმაციისთვის დაუკავშირდით მარია ბრეგაძეს ელ-ფოსტაზე:

maria.bregadze@dwv.ge

DWV-ს წევრები სარგებლობენ შეღავათიანი პირობებით მრავალ მომსახურებაზე, მათ შორის ბაზრის კვლევებზე, პერსონალის მოძიებასა და სემინარებზე. მათ ასევე გარანტირებული აქვთ მონაწილეობა ჩვენ მიერ ორგანიზებულ ბიზნეს ფორუმებსა და კონფერენციებში, იღებენ შეღავათიან პირობებს სადაზღვევო პაკეტებზე და ეძლევათ შესაძლებლობა, ბიზნესდელეგაციების ფარგლებში პირდაპირი კონტაქტი დაამყარონ გერმანულ კომპანიებთან.

გამოფენები გერმანიაში



5-7 თებერვალი 2025, ბერლინი

Fruit Logistica

ხილისა და ბოსტნეულის სფეროში მსოფლიოს წამყვან გამოფენაზე მეტის გასაგებად გადადით [ამ ბმულზე](#).



9-10 მარტი 2025, კარლსრუე

EUROVINO

DWV-ს შუამავლობით ქართული ღვინოები ახალ საერთაშორისო გამოფენაზე მოხვდება. გაიგეთ [მეტაქ](#).

გამოფენებით დაინტერესების შემთხვევაში მიმართეთ სალომე მუმლაძეს მეილზე: salome.mumladze@dwv.ge

ევროკავშირისა და გერმანიის მთავრობის მიერ დაფინანსებული პროექტის „**QUIS - უკეთესი პროდუქტი, უკეთესი მომსახურება**“ ფარგლებში **GIZ** (Deutsche Gesellschaft für Internationale Zusammenarbeit) ატარებს კვლევას.

პროექტის მიზანია კომპანიების კონკურენტუნარიანობის გაუმჯობესება ხარისხის ინფრასტრუქტურის განვითარების გზით.

დაინტერესებულ კომპანიებს, გთხოვთ შეავსოთ მოკლე კითხვარი, რომელიც ხელმისაწვდომია [ამ ბმულზე](#).

დაგეგმილი ღონისძიებები

DWV-Get Together

18 სექტემბერი 2024 | სასტუმრო შერატონ გრანდ თბილისი მეტეხი პალასი. თელავის ქ. 20, თბილისი

[ბიზნეს დელეგაცია: ინფრასტრუქტურული პროექტები](#)

23-27 სექტემბერი 2024 | თბილისი, ქუთაისი, ბათუმი

[სემინარი: HR- თანამშრომელთა მართვა და მოტივირება](#)

24-27 სექტემბერი 2024 | BPN Georgia, აფაქიძის ქ. N5, თბილისი

ჩატარებული ღონისძიებები

2024 წლის აგვისტოში DWV-მ ჩაატარა ტრადიციული **Get Together** სასტუმრო სვისოტელში.



წევრების სიახლეები

Insta-მ ბათუმში "Delight"-ის პირველი შოურუმი გახსნა.

იმედი L უცხოელ სტუდენტებსა და ტურისტებს სადაზღვეო პაკეტებს სთავაზობს.

საქართველოს ბანკმა, რეგიონებში მცირე და საშუალო ბიზნესების ხელშეწყობის მიზნით, ახალი პროექტი „უფასო ვებ-გვერდი ბიზნესს“ წამოიწყო.

DB Schenker საქართველო იწყებს ახალ სარკინიგზო-საკონტეინერო სატრანსპორტო მომსახურებას ჩინეთიდან

[ყველა სიახლეს გავცნობით აქ](#)

ეკონომიკის სიახლეები

2024 წლის პირველ ექვს თვეში ქართული **ღვინის ექსპორტი** მნიშვნელოვნად გაიზარდა, განსაკუთრებით ევროპის ქვეყნებსა და ჩრდილოეთ ამერიკაში. სულ 54,5 მილიონი ლიტრი ღვინო, რომლის ღირებულება 156,7 მილიონი აშშ დოლარია, საქართველოდან 61 ქვეყანაში იქნა ექსპორტირებული. საქართველო ქვეყნებიდან გერმანია განსაკუთრებით გამოირჩევა: ღვინის ექსპორტის 34%-იანი ზრდით 674,000 ლიტრამდე, გერმანული ბაზარი ერთ-ერთ ყველაზე ლიდერია. შედეგად, კიდევ უფრო მეტი ღვინის მწარმოებელი გამოთქვამს სურვილს, შევიდეს გერმანულ ბაზარზე.

მიმდინარე წლის აგვისტოდან **საქართველოსა და ბულგარეთს შორის კვლავ მოძრაობს ბორნები**, რაც გარკვეული პერიოდის მანძილზე შეფერხებული იყო. საბორნე მიმოსვლა წარმოადგენს მნიშვნელოვან დამაკავშირებელ საშუალებას ამ ორ ქვეყნას შორის, მისი ახლა აღდგენა კი მნიშვნელოვანი ნაბიჯია ორ ქვეყნას შორის ლოგისტიკური კავშირების გაძლიერებისა და „შუა დერეფნის“ ეფექტურობის გაზრდისკენ.

[ყველა სიახლეს გაეცნობით აქ](#)

შეთავაზებები ჩვენი მკითხველებისთვის

Mercure-ის სასტუმროების "თბილისი საბურთალო" და "თბილისი ფილარმონია" რესტორნებში სექტემბერში ახალი, [ლავანდის მენიუ](#) დაგზავდებათ. ასევე ძალაშია [ბიზნეს-ლანჩი 30 ლარად](#) ისევე, როგორც [პრემიუმ ღვინისა და ყველის შეთავაზება 35 ლარად](#).



გერმანიის ეკონომიკური გაერთიანება

რუსთაველის გამზ. 24, 0108 თბილისი

ტელ.: +995 32 220 57 67

ელ-ფოსტა info@dwv.ge

www.dwv.ge

თუ არ გსურთ ჩვენგან ბიზნეს ბიულეტენის მიღება,
დააჭირეთ ქვემოთ მითითებულ ბმულზე.

[გამონერდის გაუქმება](#)